



# სამშაბათი

რედაქცია (ლია 9-2 და 5-7).

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ლია 9-2 და 5-7).

გაზეთის ფასი: ერთ თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტრისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. სამგლოვარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქსენია პახომის ასული და საყვარელი შვილები—გრიგორ, ლევან და კაკი, და ცუცა, რძალი პაშა ჯავახის ასული შვილებით: თამარ, რუსია, თინა და გიორგი და ძმისწული პორფირე ასლანის ძე წერეთელი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი

## სიმონ სამსონის ძის წერეთლის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია სოფ. დერჩში (ლენჩხუმის მაზრა) 2 ქრისტეშობისთვის (ახალი სტ.) დღით სამშაბათს. (1-1).

29 გიორგობისთვის სოფ. დერჩში გარდაიცვალა

## სიმონ სამსონის ძე წერეთელი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის სიღვრი ფატმან სიმონის ასული ქერივი ასათიანისა — შვილებით: ბაბილინა პახომის ასული ჯაფარიძისა, ოლიმპიადა (ბუბულა), შამშე მეუღლე მისი თამარი ასათიანები. დაკრძალვის დღე დანიშნულია 2 ქრისტეშობისთვის დღით სამშაბათს სოფ. დერჩში (ლენჩხუმის მაზრა). (1-1).

## ნიკოლაძისა და ა. ასათიანის ლეკსიაჟი.

30 ნოემბერს კვირას ქალაქის ცენტრში დამფუძნებელი კრების წევრმა ნ. ნიკოლაძემ და ა. ასათიან-წიკიძეს ლექსები საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. პატივცემულმა ნ. ნიკოლაძემ აღნიშნა, რომ, როგორც ამერიკის ერთგული შტატების მომარაგების საქმეების გამგე სუვერი ამბობს, ერთაშორისა ომისაგან გამოწვეული კრიზისი გადაგვარებითა და რუსეთით ემუქრება მთელს ევროპას. ევროპას აკლია თურმე ასი მილიონი კაცი უნდა გაწყდეს, თუ ამერიკამ სურსათი არ მიაწვდის. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ იქნება საძლებელი, თუ ევროპის დამბლაკმული წარმოება კვლავ გამოცხადდება. ამ ჟამად კი ამის ნიშანი არა ჩანს. და, თუ ევროპის წარმოება დამბლაკმული ვერ განიკურნება, ამერიკის აღარ მოეწველება, მაშინ კი ევროპის ცივილიზაცია საფრთხეში არდგება.

და, თუ კი ევროპა თავისი მდიდარი მრეწველობით ამ მდგომარეობაშია, რა და უნდა ვთქვათ საქართველოზე, რომელსაც ჯერ არცერთი ქარხანა არ აქვს. რუსეთის ინტელიგენციის მიერ აღზრდილს ჩვენს ინტელიგენციას სრულიად არ მოეპოვება შემოქმედებითი უნარი. ჩვენ მხოლოდ ის გვისწავლია, როგორ უნდა გავანაწილოთ სამართლიანად ქონება, მაგრამ რა-ღა უნდა გავანაწილოთ, როდესაც არა გვაქვს-რა და შექმნის, გაკეთების უნარი არ მოგვეპოვება. ამ მდგომარეობაში ერთადერთი იმედი-ღა არის; ჩვენ კეთილად უნდა მოვიხმაროთ ევროპის სპეციალისტების ცოდნა და ევროპისავე ქარხნების გაუქმებული მანქანები. უნდა მოვიტანოთ მანქანები, მოვიყვანოთ სპეციალისტები და გადავამუშავოთ ნედლი მასალა, რომელიც ჩვენში უხვად არისო. ა. ასათიანი შეხო იმას, რომ წარმოების განვითარებას ხელს უშლის ჩვენში სხვადასხვა სოციალისტური დეკრეტი. მიწის კანონმა მოსპო, გაანადგურა უმალესი სამეურნეო კულტურა. ნათესობა მარტო 20 % -ით გა-

დიდდა; ახლანდელ პირობებში კი 100 % -ით უნდა კადიდებულყო. სამიწისმოქმედო შრომის ნაყოფიერება კი ძირს დაეცა. თუთუნის მოსავალმა ხუთჯერ იკლო. მუშათა საკითხის არა ნორმალურმა მდგომარეობამ მრეწველობის აღორძინება შეუძლებელ ჰყო. სოციალისტურმა ბიუროკრატია რესპუბლიკის აღებ-მიცემობის სარბიელიდან ვაჭრები გააძევა, თვითონ კი საქმეს ვერ მოუარა. ეს არაა ფინანსიური კრიზისის მიზეზი.

გასავალი მილიარდნახევარს გადააჭარბებს, შემოსავალი კი მის ნახევარიც არ არის მოსალოდნელი. სამიწისმოქმედო სამინისტრომ აუარებელი სახაზინო ტყისა და ყანასაძოვრისაგან ვერაფერი ვერ აიღო. ბიუროკრატის მიერ წარმოებული მეურნეობა დეფიციტს იძლევა. ახალ ახალი ბონების ბეჭდვა კი უფრო და უფრო ამცირებს ფულის ღირებულებას. და ფინანსიურ კრიზისს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის. აქედან კი ერთადერთი გამოსავალია: მაგრობამ უნდა უუფავდოს აქამდის არჩეული გზა და უნდა შესცვალოს რეალურის, მიზანშეწინააღმდეგარის მიმართულებით.

## გ. გვაზავას სიტყვა

დამფუძნებელ კრებაში 13 გიორგობისთვის სიბუნნიონთან დადებულ ხელშეკრულების გამო. გ. გვაზავა. სიბუნნიონთან დადებულ ხელშეკრულების არ აქვს იურიდიული ძალა. ბატონებო! ერთი უმთავრესი მოტივი ამ შეკითხვის შემოტანისა ჩვენთვის იყო და არის უფლებრივი მხარე: ქონდა თუ არა მთავრობას უფლება დაედო იმისთანა ხელშეკრულება, როგორც არის დადებული სიბუნნიონთან? ამ კითხვის შესახებ ჯერ გამოთქმული აზრი ძალიან ბუნდოვანია. ბუნდოვანია განაცხადდა, რომ ამისთანა უფლება არა ქონდა მთავრობასაო, მაგრამ ამავდროს იგი გადავიდა ზნეობრივ მხარეზე და ამით თვითონ გაბზარა თავისი თეორიული მოსაზრებანი. ამით ისარგებლა ბ. ს. ჯაფარიძემ და დასკვნა, რომ მთავრობას ქონდა ამ ხელშეკრულების დადების უფლებაო. ჩვენი შეხედულება კი უფრო პრინციპიალურია. ჩვენ ვამბობთ, რომ მთავრობას არა ქონდა ეს უფლება და მისგან დადებულ ხელშეკრულებას არა აქვს იურიდიული ძალა. ვის აქვს საბიუჯეტო უფლება? ამ შეხედულების გასაგებად და დასამტკიცებლად უნდა გავითვალისწინოთ საბიუჯეტო უფლების საკითხი. ვისა აქვს ეს უფლება? უნდა გვახსოვდეს, რომ საბიუჯეტო უფლება არის ერთი ძირითადი ელემენტი სუვერენობის ანუ უმაღლესი ხელმწიფობისა. სანამ საქართველო დამონებული იყო, ეს უფლება ეკუთვნოდა რუსეთის ცენტრალურ კანონმდებლობას ან იმპერატორს, იქ გადასწყვეტდნენ, თუ რამდენი ხარჯი უნდა გადაეხადა საქართველოს ერს, ახდევინებდნენ ამ გადასახადს და მერე ჰხარჯავდნენ ისე, როგორც რუსეთის უმაღლესი კანონმდებლობა მოისურვებდა. მაგრამ მას აქვს, რაც დაინგრა რუსეთის წეს წყობილება და გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, გამოიცვალა სუვერენობის სუბიექტიც უმაღლესი ხელმწიფობა საქართველოს ტერიტორიაზე ეხლა ეკუთვნის საქართველოს ერს. პირველი მუხლი ჩვენი დამოუკიდებლობის აქტისა ამბობს: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია“. ეს ჰნიშნავს, რომ მას ამიერიდან ხარჯს და გადასახადს ვერავინ დაადებს, თუ მისივე სურვილი არ იქნება; ამიერიდან საქართველოს ხალხი თვითონ სწყვეტს საკითხს, თუ რამდენი გადასახადი უნდა გაიღოს მან და როგორ უნდა დაინარჯოს ეს შეგროვებული ფული. უფლებრივი ორგანიზაცია ეროვნული ნებისყოფისა, თქვენ კარგად იცით, არის დღეს დამფუძნებელი კრება. მაშასადამე, დამფუძნებელ კრებაზე გადადის ეს ელემენტი ეროვნული ხელმწიფობისა. აქედან გამოდის შემდეგი უდიდო დასკვნა: არ შეიძლება ვისმე გადახდეს ერთი კაპეიკი, თუ არაა დამფუძნებელ კრების დასტური და აგრეთვე

# დღიური.

ბულგარეთმა საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა.

დ'ანუნციო ტრიესტში შეიქრა.

იტალიის მთავრობამ პარლამენტში უარი განაცხადა დ'ანუნციოს-თან მოლაპარაკებაზე.

ინგლისში მუშათა მოძრაობის სალიკვიდაციოთ „სამოქალაქო გვარდია“ შექმნეს.

გერმანელი ოფიცრები ზოგი საზღვარ გარედ გარბის და ზოგი ფონ-დერ ჰოლცის ლაშქარში ეწერება.

არ შეიძლება დაინარჯოს ერთი კაპეიკი ეროვნული ქონებისა იმავე კრების ნებადართველად. ეს არის ძირითადი პრინციპი საბიუჯეტო უფლებებისა.

ესლა გადავხედოთ სიბუნინთან დადებულ ხელშეკრულებას. იქ სხვათა შორის ნათქვამია, რომ — თუ სიბუნინმა გაიღო ხუთი მილიონამდე სტერლინგი, ჩვენი მთავრობა ვალდებულია გაიღოს 25 პროც. ამ თანხისა, ეს უდრის თითქმის ერთ მილიარდს მანეთს. ესლა მე გვეკითხებით, ჰქონდა ამის უფლება მთავრობას? რასაკვირველია არა, ამისთანა ხელშეკრულებას უსათუოდ უნდა წინ მიუძღოდეს დამფუძნებელ კრების დასტური. უამისოდ ხელშეკრულება მოკლებულია ყოველ იურიდიულ ძალას.

აქ გავკვირვებით გვეკითხებოდნენ: ყოველ ხელშეკრულებაში არის რაიმე ვალდებულება და მასთანამე ყოველი ხელშეკრულება უნდა შემოვიდეს დამფუძ. კრებაში დასადასტურებლად? არა. მთავრობას უფლება აქვს და ვალდებულიც არის აწარმოვოს სხვა და სხვა საქმე, ააშენოს საჭირო სახლები, გაიყვანოს გზები თუ რკინის გზები, იყოლიოს ჯარი... სახელმწიფოს გასავალი დიდია და მრავალ გვარი, — მაგრამ ყველაფერი ეს ხარჯი უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგალში. ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ამ საბიუჯეტო ფარგლებში, კანონიერია და იმას არა სჭირია ახალი დადასტურება — უკვე გამოთქმულია საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვაში. მაგრამ ჩვენ ბიუჯეტო ჯერ არ დავიმტკიცებთ, არ მიგვიღია არც რაიმე დეკრეტი შესახებ ერთი მილიარდ მანეთის გაღებისა, მასთანამე სიბუნინთან დადებული ხელშეკრულებაც უკანონოა და მიუღებელი.

100 მილიონიდან 1 მილიარდამდე.

შეიძლება გვიბასუბონ, რომ ჩვენ დეკრეტით უკვე გადავდევით ასი მილიონამდე თანხა სურსათის შესაძენად, მაგრამ ეს თანხა უკვე დახარჯული უნდა იყოს და თუ დახარჯულიც არ არის, მაინც ასი მილიონიდან ერთ მილიარდამდე — დიდი მანძილია. შეიძლება კიდევ სთქვან, რომ სიბუნინი ერთბაშად ხომ ვერ წარმოადგენს ხუთ მილიონს სტერლინგს და ჩვენც ვალდებული არ ვიქნებით, ერთბაშად გავიღოთ ერთი მილიარდი მანეთით, მაგრამ ჯერ ერთი — ჩვენ არ ვიცით, ეს ფულის გაღება ერთდროული იქნება თუ ნაწილობრივი; შემდეგ, თუნდაც ნაწილობრივი იყოს, მაინც საბიუჯეტო მთლიანობა მოითხოვს, რომ გათვა-

ლისწინებული იყოს მთელი ჯამი ვალდებულებებისა და არა მისი ნაწილი. ამისთანა ხარჯი შედის ხაზინის სპეციალურ ანგარიშში („специальные счета казначейства“) და ყოველთვის უნდა ეჭიროს თავის ადგილი საზოგადო საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვაში. ეს თავისთავად ცხადია, თუ მოვიგონებთ, რომ ვადა ხელშეკრულებისა არის ერთი წელიწადი; ერთი წლის განმავლობაში, თუნდაც ნაწილად ნაწილად მოხდეს თანხის გაღება, მაინც მთელი თანხა (ერთი მილიარდი) გაღებულ უნდა იქმნეს. საბიუჯეტო კანონი კი ყოველწლიურია, მასთანამე მთელი თანხა უნდა უსათუოდ მოექცეს საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვაში. თუ ეს ასეა — და ამაში კი ეჭვი არ არის ფინანსიურ მეცნიერების თვალსაზრისით, — ყოველად შეუძლებელია ეს უშვებელი თანხა დაემართოს პარლამენტის კონტროლს და ზედამხედველობას.

## სახელმწიფო კონტროლის დასტური.

შეიძლება მიბასუბონ კიდევ, რომ სულ ერთია, სახელმწიფო კონტროლი ამისთანა ასიგნობას თავის ვიზას არ მისცემსო. ეს მართალია, სახელმწიფო კონტროლი ვიზას არ მისცემს, მაგრამ სულ ერთი კი არ არის. ასიგნობა ეგზავნება კონტროლს, შეიძლება, სამი-ოთხი თვის შემდეგ, ჩვენ კი ესლავე უნდა ვიცოდეთ, აქვს თუ არა ესლა ძალა დადებულ ხელშეკრულებას, რადგანც ორივე მხარე ალბად ესლავე შეუდგება მის ასრულებას. ჩვენი დასკვნა კი ასეთია: ხელშეკრულებას არა აქვს ძალა, რადგანაც მთავრობამ ვადალახა თავის უფლებათა საზღვარი და შეიქრა დამფ. კ. კომპეტენციაში.

ბატონებო! ჩვენ შემოვიტანეთ შეკითხვა არა პარტიულ საკინკლოდ, აქ სახელმწიფოებრივი ინტერესია. ჩვენ ავასრულეთ ჩვენი მოვალეობა, მივატყვიეთ თქვენი ყურადღება ამ გადაწყვეტით ეს საკითხი, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული ინტერესი.

## ახალი ამბავი. მუთანისი.

საშუალო და უმაღლეს პირველ-დაწიებით სასწავლებელთა პროფესიონალურმა კავშირმა 30 ნოემბრის საღამოს კრებაზე დაადგინა: მოიხსნას მასწავლებელთა გაფიცვა. იმავე დროს კრებამ შეუფერებლად სცნო განათლების მინისტრის მიერ კავშირისდა მომართული სიტყვები.

გოორგი გუჯეჯიანის დაქვრავი გოორგი გუჯეჯიანისაგან დებეში მო-

გვივიდა: „აქაურ სოფლებში კენჭის ყრაში გამარჯვებული დარა ჩვენი პარტია, ამის გამო დამიქერის ჩონთოში. საქმე სახიფათოა. ვთხოვთ დაჩქარებით დახმარებას გოორგი გუჯეჯიანი.“

იმავე გუჯეჯიანისაგან მივიღეთ დებეში, სავლეთ სასამართლოში მიმცესო. საქიროა, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და არჩევნებში მონაწილეობისათვის მოქალაქე სამხედრო სასამართლოს არ გადასცეს.

დელა ფუშე გელათში. ბნტრიფონ ჯაფარიძეს, როგორც ეთნოგრაფიულ საზოგადოების წარმომადგენელს, ამ ეამად ქუთაისში ჩამოსული რომის პაპის წარმომადგენელი დელა ფუშე და სხვები მიყაფს გელათის მონასტრის სიძველეთა დასათვალიერებლად

რეფერატი. დღეს, ქალაქის თეატრში ლექტორი გრიგოლ ამალლობელი წაიკითხავს რეფერატს შემდეგ თემაზე: სოციალიზმი და ახალგაზრდობა, რომელსაც უძღვნის ჩვენს ახალგაზრდობას. თეზისები: 1) კაცობრიობა და მისი ორნაირი ტანჯვა: რელიგიურ ფელოსოფიური და სოციალურ პოლიტიკური; 2) სოციალიზმი, როგორც მეორე ტანჯის დაძლევის საშუალება; 3) რა არის სოციალიზმი? სოციალიზმი და პირველყოფილი კომუნიზმი; 4) სოციალიზმი და თანასწორობის იდეა. 5) სოციალიზმი თუ ინდივიდუალიზმი? 6) მარქსის სოციალიზმი და ენუქას ანდერძი; 7) სოციალიზმი და არსებობისათვის ბრძოლის ძირითადი; 8) სოციალიზმი და ახალგაზრდობა, 9) რაში მდგომარეობს სოციალიზმი! 10) სოციალიზმი და ცხოვრება, როგორც შემოქმედება. 11) სოციალიზმი, ერი, ქალი, ოჯახი და სიყვარული.

ნაფიც მსაჯულთა სიები. ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე დებეშით აცნობებს იუსტიციის მინისტრს, რომ ქუთაისის გუბერნიაში ყველა მაზრების ერობებმა წარუდგინეს სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სიები. სიები ჯერ არ წარმოუდგენიათ სოხუმის ოლქისა და თბილისის გუბერნიის ზოგიერთ საზარო ერობებს, რის გამოც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების საკითხი შეფერხებულია.

კვირას, 30 ამა ნოემბერს გალობის მოყვარულთა წრის შესადგენათ განზრახული საზოგადო კრება, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო გადადებულ იქმნა მომავალ კვირისათვის, 7 დეკემბრისათვის, დილის 12 საათზე. კრებამოხდება პირველი გიმნაზიის (კლასიკური) დარბაზში. წრის მომწყვ კომიტეტი.

## თბილისი

სიკვდილით დასჯილი მემამობენი. სამხედრო საგანგებო სასამართლომ ჩოხატაურის ამბოხებაში მონაწილეობისათვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ახალაძე ანდრისა, გოგოლაძე ფილიპეს, თედორაძე თეოფილეს, მამალაძე პარმენს, მამალაძე ავთანდილს, ბერიძე ბენიამინს, მინდაძე ტარასის, ბერძენიშვილი პიხელის.

პირდაპირი დამატებითა მატარებელი თბილისიდან ბათუმამდე. გზათა დეპარტამენტის დამატებითი განკარგულებით დასტურებული მატარებელი ინიშნება პირდაპირ თბილისიდან ბათუმამდე (№ 7-8) მატარებელი თბილისიდან გავა საღამოს 10 საათზე. ადგილები უპლაცკარტოა მატარებელი ყოველსადგურზე და ბაქანებზედ გაჩერდება.

უახლათა თარეში ბორჩალოს მაზრაში. ბორჩალოდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ ნეიტრალურ ზონიდან გადმოღიან ყაჩაღები და ადგილობრივ მცხოვრებლებს ოთხფეხ საქონელს სტაცებენ.

ნოემბრის 28-ს ეკატერინოვის რაიონში ქართველთა სოფელ ბალიჩიდან თავდამხმელებმა 400 ცხვარი გაიტაცეს. მათ სომხების საქონელს ხელი არ ახლეს.

გადამდები სნეულებანი. ქალაქის სამედიკო სასანიტარო ბიუროს ცნობით ნოემბრის 16-დან 22 მდე თბილისში ავად გაზხდარან: პარტახტიან სახლით 6 კაცი, მუტლის სახლით 8, შებრუნებულ სახლით 8, წითელათი 1, ხუნავით 1, ხოლოერთი 2.

სტუდენტთა გამგზავრება. ნოემბრის 28 ს თბილისიდან საზღვარ გარედ გამგზავრა სახელმწიფო სტიპენდიანტ სტუდენტთა პირველი ჯგუფი, რიცხვით 14 კაცი.

## უცხოეთი

საპარტიათა შორისო თათბირი ზანგეზურის შესახებ

გოორგობისთვის 25 ს ზანგეზურის ამბების გამო გაიმართა საპარტიათა შორისო თათბირი სოციალისტებისა, პარლამენტის წევრების მონაწილეობით. საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ ამნაირი საკითხები სწყდებოდეს მშვიდობიანი გზით, არბიტრაჟის საშუალებით ამიერკავკასიის დემოკრატიათა უზრუნველსაყოფად.

## სომხეთი

კუნძულ იავის სომხები. სომხები კუნძულ იავიდან რიცხვით 1000 კაცი მზად არის სომხეთში დაბრუნდეს. („აზხატ“)

რუსეთი. გენ. დენიკინი წითლების შეტევს შესახებ.

იუნკერთა და სააფიკრო კურსელების პარადზე, გენ. დენიკინმა მიჰმართა მათ სიტყვით, რომელშიც გამოსთქვა რწმენა, რომ მოპირდაპირის შეტევა არის უკანასკნელი ცდა დაიცვას ასპარეზი სამუდამო დაღუპვისაგან.

სოტა ხანი კიდევ, — სთქვა დენიკინმა. და მოპირდაპირა შეტევა, გადიქევა უკან დახევად და წითელ არმიის სრულ დარღვევად. სმოლენსკის აღება პოლენელებისაგან.

ვარშაიდან იუწყებიან, რომ სმოლენსკი პოლონელებმა აიღეს ქალაქის აღების შემდეგ გამოიცა ბრძანება, რომლითაც მოსახლეობას უბრუნდებთ ბოლშევიზმის დროს დაბრული ქონება. („პარუსი“).



„ოტელო“ კუთაისის სცენაზე.

მეორეთ იდგმება „ოტელო“ ამ მოკლე ხანში ქუთაისის სცენაზე. საზოგადოება მრავლად ესწრება ამ პიესას. რატომ? — მიზეზი შექსპირის კალამია, ოტელო მძლავრი პიესა არის, თვით შკოლნიკის წაკითხული, რომ მოისმინოთ. ოტელოდან ბევრი რამის გამოტანა შეიძლება. ის ეუბნება მკითხველს და მსმენელს თუ რა შეუძლია ქვესკნელის შვილს! ის ადასტურებს, რომ ადვილად ხდება სრულიად მართალი ადამიანის გასამართლება, ის ამბობს, რომ სიკრულეს ბოლოს ფარდა ახდება და ბევრს სხვას — გვეუბნება ჩვენ მაყურებელთ და მკითხველთ.

ბევრს რამეს ეუბნება შექსპირის „ოტელო“ მსახიობთაც. ის აფრთხილებს და ამბობს „ჩემი შესრულება მხოლოდ მსახიობთ შეუძლიათ და თუ არა ასეთი წოდების ხალხი იკისრებს მის შესრულებას აუცილებლათ კისერს მოიტეხსო“.

და მართლაც კისერს იტეხენ ქუთაისის სცენაზე დღევანდელი იაგობი კასიოები და მათი კამპანია.

ოტელო შემოიტანეს ქუთაისის სცენაზე, მას თან შემოყვანიდა შვილი. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმედა შვილი შექსპირის ოტელოსთან ახლო სდგას. მაგრამ მართო ერთი გმირი პიესას ვერ აცხოველებს სცენაზე „ოტელოს“ ოტელოს, შექსპირის იაგო თან სდევს და უკანასკნელის განსახიერებას კისრულობს კორიშელი.

თუმც მეტის მეტათ დახურდა და ქუთაისის სცენაზე იაგო, მაგრამ შექსპირს არც ასე ხურდათ შეუქმნია თავის „ოტელოში“ ერთი უმთავრესი როლი იაგოსი.

„ოტელოს“ იაგო მეტის მეტათ გრძნობიერი ეშმაკი არის. იგი ქვესკნელის შვილია და ყოველი მისი გამომეტყველება ჯადოსნურათ უნდა მოქმედებდეს ადამიანზე. ქუთაისის იაგო მეტის მეტათ გულცივი ადამიანია. ცხადათ ემჩნევა, რომ კორიშელი შექსპირის იაგოსთან ძლიერ დაშორებულია.

ქართულ სცენაზე, ოტელოს დადგმა საშუალოდ, მხოლოდ მთელი ძალების მობილიზაციის შემდეგ შეიძლება.

იმედაშვილი გამოსადეგია თვით ოტელოს როლისთვის, მაგრამ მეორე ხარისხოვანი როლის ასრულებელი, თვით იაგო, ქუთაისის სცენას ვერ მოუნახავს.

არ ვფიქრობთ, რომ აქაურ მსახიობებში ღირსეული იაგო ვერ მოუძებნათ.

თუ დრამატულ საზოგადოებას კიდევ სურს „ოტელოს“ დადგმა კეთილ ინებოს და ზარღალიშვილი გვაჩვენოს იაგოს როლში.

და მაშინ ვიტყვი, ყავს თუ არა ქართულ სცენას იაგოები.

ბატუა.

მართლაც კათოლიკეთა მართული ტიპიკონის ამბავი და სომეხ კათოლიკ. მღვდლების მუშაობის ხრიკები მართველების წინააღმდეგ.

როგორც კი გავრცელდა ქართველებში კათოლიკობა, იმ დღიდანვე ქართველნი შერაცხილ იქმნენ რომის კათოლიკეთ.

კათოლიკების მღვდლებმა და მისიონერებმა მოაწყვეს საეკლესიო სახლები და შეუდგნენ წირვა ლოცვის საქმეს, მაგრამ აი რა წესით:

მღვდელი სწირავდა ლათინის ტიპიკონის წესით, ლათინურათ, გალობა იყო ქართული და სახარება და სამოციქულოს კითხვაც ქართულს ენაზედ იყო.

ამაირათ დაჰყარდა ქართველ კათოლიკებში რომის კათოლიკეთა საეკლესიო წესები, და რომაული ტიპიკონის თანახმათ წირვა-ლოცვის შესრულება.

ეს გარემოება ეკლესიისა გავრცელდა თითქმის 1630 წლებამდის და საქართველოში, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში, ყოველთვის ლათინურის ტიპიკონით სრულდება წირვა ლოცვა!

ამ გარემოებას არც ქართული მთავრობა უშლიდა ხელს და გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, როცა დაარსდა თფილისში ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა, ეპისკოპოსის პირველ წირვას მეფე გიორგი ბრწყინვალეც დაესწრო.

ამ დღიდან ქართველი მეფენი და კათალიკოზებიც ყოველთვის დიდის პატივით ეპყრობოდნენ ლათინურის ტიპიკონით წირვა-ლოცვის შესრულებას.

თუმცა ასე იყო საქმე და ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ლათინური ტიპიკონით სრულდებოდა წირვა, ხოლო ამის ძალით ქართველ კათოლიკებში ერთი ქართველიც არ გვინახავს განლათინებული.

საქართველოს ქართველ კათოლიკებს სომეხებმა მოხვიეს ხელი და მას შემდეგ, რაც ვენეციის კუნძულზედ სევასტი მხითარელმა სომეხ კათოლიკეთა დაარსა მამობა, სასწავლებელი, სომხური სტამბა და ამის შემდეგ წიგნის ბეჭდვაც დაიწყო.

მკირე ხნის შემდეგ, მათ სომეხ-კათოლიკეთა ტიპიკონის მღვდლებიც გამოზარდეს.

ეს ბედნიერი გარემოება სომხის მხითარისტებს მიანიჭა იმ პირობებში, რომ რომის ტახტზედ საქართველო შორს იყო, იგინი ქართველებს კარგად არ იცნობდნენ, მხითარისტებმა ისარგებლეს ამით და რომის ტახტს აცნობეს, რომ ჩვენ და ქართველები მეზობელი ხალხი ვართ, ამიტომ ქართველ კათოლიკების მოვლას ჩვენ ვიკისრებთო. რომის ტახტიც დასთანხმდა ამაზედ, რადგანაც მათ ლათინის წესის მღვდლების გამოგზავნა საქართველოში ერთობ უჭირდებოდათ, პირველი სიშორე და აგრეთვე ქართული ენის უცოდინარობა ხელს უშლიდათ.

ამ გარემოების წყალობით მხითარისტებმა ხელთ იგდეს საქართველო და უმთავრესად კი სამცხე-საათაბაგო, რაც ოსმალეთმა დაიპყრა 1630 წლის შემდეგ. რადგანაც აქ ოსმალთაგან ქართული ენა იდევნებოდა, ამიტომაც მხითარისტებმა ქართველ კათოლიკებს სომხურათ დაუწყეს წირვა-ლოცვის შესრულება.

ეს გარემოება ქართველებს არ მოსწონდათ, მაგრამ რადგანაც ოსმალთს მთავრობა ქართულ ენას სასტიკათ სდევნიდა და სომხურის ენის ხმარებას კი თბენულობდა, ამიტომ ვერას ვახდენ.

ამ გარემოების საშუალებით ქართველ კათოლიკებში გავრცელდა სომხური ტიპიკონით ლოცვების შესრულება, ამან ისეთი ზეგავლენა მოახდინა ქართველებზედ, რომ ქართველ კათოლიკებმა თავის სჯულის ენათ სომხური ენა იწამეს და თან სცდილობდნენ იპასაც, რომ მათ სომხური ენაც შეესწავლათ.

სომხის კათოლიკების სამღვდლოების ნატვრაც ეს იყო. სომხური ტიპიკონის შემოტანით ქართველებში სომხის კათოლიკეთა მღვდლებმა მიიღწიეს თავის ნატვრას და წადილს. ქართველ კათოლიკებში მათ გაავრცელეს სომხური ენა.

ქართველ კათოლიკებმა სომეხ კათოლიკ მღვდლების წყალობით XVIII საუკუნის ვასვლამდის, კონსტანტინებოლში ქართული ენა დაკარგა. ქალაქართვინში, 5000 მკხოვრებმა ქართველმა კათოლიკემ დაკარგა ქართული ენა.

შავშეთში დაიკარგა ქართული ენა რამდენსამე სოფლებში, მაგალითად: სოფ. სათალოში, ოქრო ბაკეთისაში, მამანელისმაში, ფხიკურში და ბევრ სხვა ადგილას.

ასევე დაივიწყეს ქართული ენა არტანის თემის ქართველ კათოლიკებმა. ეს რომ ცხადია, აქას ასაბუთებს შემდეგი გარემოებაც: 1670 წ. არტანის თემის სოფ. ველის მცხოვრებნი რომის ტახტს საერთო თხოვნას უგზავნიან და თან ავალებენ, რომ რომის ტახტმა ამათ სოფელს გამოუგზავნოს ქართველი მღვდელი და არა სომხისა.

თუ როგორი განაჩენი მისცა რომის ტახტმა ამ თხოვნას ჩვენ არ ვიცით.

ზ. კ. (დასასრული იქნება).

კუთაისის I მუშუტარობის ამხანაგობის წესდება.

(დასასრული)

14) გამგეობა თვალყურს ადევნებს რომ პირობები და საზოგადო კრების დადგენილებები შესრულებული იყოს და ყოველივე ამხანაგობის საქმე წესიერათ მიდიოდეს. 15) ნაჩუქარ უძრავ მამულზე გამგეობას შეუძლია შეასრულოს და დაამტკიცებოს ნაჩუქრობის ხელშეკრულება და ნაყიდ მამულზე შეასრულოს და დაამტკიცებოს ნასყიდობის სიმტკიცე. 16) ამხანაგობის საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიის სამ წევრს, ორი კანდიდატით, ერთი

წლის ვადით, ანგარიშების დაწინაურების შესამოწმებლათ; ამასთანავე კომისია თვალყურს ადევნებს, რომ ვინა პირობა არ ირღვეოდეს. 17) ამხანაგობის საზოგადო კრება ხდება არა უგვიანეს პიოველ თებერვლისა, მაგრამ თუ გარემოებამ მოთხოვა შეიძლება მოწვეულ იქნეს არა ჩვეულებრივი კრება: ა) მთელი ამხანაგობის 1/4 წერილობითი მოთხოვნ-ლებით, ბ) გამგეობის განკარგულებით, და გ) სარევიზიო კომისიის მოთხოვნით; ამ გვარი მოთხოვნითა ამხანაგობის და სარევიზიო კომისიის გამგეობამ უნდა მოიყვანოს სისრულეში არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობისა: ყოველნაირი საზოგადო კრება მოწვეული უნდა იქნეს გაზეთის საშუალებით და უწყების დარიგებით. 18) მთელი ამხანაგობის 1/5 თუ არ გამოცხადდა, კრება არ შესდგება და ერთი კვირის შემდეგ ინიშნება მეორე კრება; ეს მეორე კრება ითვლება კინონიერათ, რამდენი ამხანაგოც უნდა დაესწროს. 19) საზოგადო კრებაზე ყოველივე საქმე წყდება დამსწრე ამხანაგთა ხმის უმრავლესობით, გარდა ამ პირობის 22 მუხლისა, რომლის გადასაწყვეტათ საჭიროა დამსწრე ამხანაგთა 2/3. 20) თვითმჯდომარეს და მდივანს; კრების დადგენილება შეაქვთ ოქმში და ინახება ამხანაგობის საქმეებში; ეს ოქმები სავალდებულოა ყველა ამხანაგთათვის. 21) საზოგადო კრება იხილავს და ამტკიცებს წასული წლის ანგარიშს; ესევე ყრილობა იხილავს და ამტკიცებს მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვას გამგეობისაგან წარდგენილს; ამ ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებამდის, გამგეობა ხელმძღვანელობს წინა წლის ხარჯთა აღრიცხვით. 22) მთელი წლიური მოგება ამხანაგობის წარმოებიდან ნაწილდება ამ რიგათ: 20 % უნდა გადავიდეს სათადარიგო თანხის მისასატებლათ, დანარჩენი რიცხვი 80 % უნდა განაწილდეს ამხანაგთა შორის პროპორციონალურათ მის მიხედვით თუ ვის რამდენი პაი აქვს შეძენილი, 23) თუ ლიკვიდაცია მოხდა, ამხანაგობის მთელი ქონება იყიდება და შემოსული ფული ურიგდება ამხანაგებს პროპორციონალურათ. ეს საკითხი წყდება საზოგადო კრებაზე 2/3-ის თანადასწრებით 3/10-ს ხმის უმეტესობით.

შენიშვნა: ლიკვიდაციის გათავებამდე ამხანაგს არ შეუძლია მილოს ხვედრი პაი.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია.

დავკარგე ქუთაისის სამმართველოდან მოცემული ჯარისკაცის გასანთავისუფლებელი მოწმობა 1919 წ. 20 ნოემბრის № 5468-ს თარიღით, რომელსაც დღეის რიცხვიდან გაუქმებულათ ვაცხადებ.

ფილიპე სიმონის ძე ელიბერიძე.

(1-1).